# იმერეთი

**ფასი:** წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 3 აბ. **ცალკე ნუმერი ერთი შაური.** წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი, დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 2 საათამდი ღირს 3 მ. 2 **საათს შემდეგ 4 მანეთი.**

**პარასკევი, 5 სექტ.**

**მისამართი:** ქუთაისი, რედაქცია გაზ. „ი მ ე რ ე თ ი“ თფილისის ქუჩა, ფირალოვის თამბაქოს ქარხნის პირდაპირ შესახვევში. სახლი **ოცხელისა.**

ტელეფონი № 4.

№ 146 ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე 1914 წ. № 146


## ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „ი მ ე რ ე თ ი“

**ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.**

ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისთვის.

| გაზეთის ფასი: | | |
|---|---|---|
| | ერთი წლით . . . . . | 7 მანეთი. |
| | ნახევარი წლით . . . . . | 4 მანეთი. |
| | ერთი თვით . . . . . | 3 აბაზი. |
| | და ცალკე ნუმრის . . . . . | 1 შაური. |

წლიური დასაკვეთი გაზეთის ფასის გადახდა ნაწილნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 15 მან. ნახევარი წლით—8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთი ეთმობათ წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მანეთად და თვიურათ 3 აბაზათ.

**ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:** Редакція „ИМЕРЕТИ“.

რედაქცია უმორჩილესათ სთხოვს თავის კორესპონდენტებს კორესპონდენციები სწერონ ქაღალდის ცალ გვერდზე გარკვევით და გაურკვევლად ნაწერი წერილები განუხილავი დარჩება. წვრილმან წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

---

პორუჩიკი კონსტანტინე იესეს ძე იოსელიანი მეუღლე მისი ალექსანდრა მიხეილის ასული შვილები მათი ვლადიმერ პორუჩიკი მიხეილი, პოდპორუჩიკი შალვა, დავითი, მარიამ, დესპინე, ლუბა იოსელიანები, ანნა ლოლაბერიძისა და სალომე რაჟდენის ასული კნეინა აბაშიძისა დიდის მწუხარებით აცნობებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ უდროვოთ გადაცვალებას პირველნი ორნი უსაყვარლესი შვილისას მეორენი რვანი ძვირფასი ძმისა და უკანასკნელი შვილის შვილისას პოდპორუჩიკის

### გრიგოლ (გრიშა) იოსელიანისას.

სთხოვენ მობრძანდეთ და ანუგეშოთ ღრმა მწუხარებაში მყოფნი ჭირისუფალნი 7 ამა ენკენისთვეს ნაშუადღევის ოთხ საათზე ორპირის ქუჩის შესახვევში სახლი ფირან იმედაძისა, საიდანაც წაასვენებენ საღორიის სასაფლაოზედ პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 5 საათზე ცალკე დაპატიჟება არ იქნება. 2—1

---

ჭიათურის სამოქალაქო სასწავლებლის

## სამთო-ტეხნიკური განყოფილება

ამით აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენები პირველ კლასში მოხდება 15 სექტემბერს. მიიღებენ ისეთებს, რომელთაც სამოქალაქო სასწავლებელი აქვთ გათავებული, ან სხვა მისი თანასწორი პროგრამის შკოლა. გამოცდა იქნება რუსულ ენაში, გეომეტრიასა და არითმეტიკაში. თხოვნები და საბუთები მიიღება სასწავლებლის ინსპეკტორის სახელზე 14 სექტემბრამდი. 5—2

---

## მინადორა დუნდუას
### ქალთა პროფესიონალური სასწავლებელი
## გ ა დ ა ვ ი დ ა

**ბალახვანის ქუჩაზე, იოსებ ბაქრაძის სახლებში.** ბავშვების მიღება დაიწყება 25 აგვისტოდან. წელს იხსნება 4-ხე კლასი. აქვე არის გახსნილი საანბანო განყოფილებაც. ნახვა შეიძლება მოსალაპარაკებლად დილის 9 საათ. 2 საათ.

---

სპეციალური წიგნის მაღაზია და წიგნის საწყობი

## ქ. ქუთაისში

კონსტანტინე ივანეს ძის ოცხელისა და ამხ.

დამზადებულია დიდძალი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნები საშუალო და დაბალ სასწავლებელთათვის. პროვინციის წიგნის მაღაზიებსა, სახალხო შკოლებსა, ბიბლიოთეკებსა და სამკითხველოებს დაეთმობათ სახლავათიან პირობებში წიგნის მაღაზიის გვერდით გამართულია სპეციალური საკანცელარიო მაღაზია. **დ. ი. ოცხელისა,** რომელსაც მიღებული აქვს საქონელი პირდაპირ რუსეთისა და საზღვარგარეთის გამოჩენილ ფირმებისაგან და ამიტომ ყოველგვარ სასწავლო და საკანცელარიო ნივთი ამ მაღაზიაში იყიდება **ძლიერ იაფათ** აქვე გახსნილია რვეულების საკეთებელი საკუთარი სახელოსნო, რის გამოც მაღაზიას შეუძლია რვეულები იქონიოს უკლებლივ და გაყიდოს ზომიერ ფასათ.

---

## დაიბეჭდა და იყიდება

კ. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში

ქ უ თ ა ი ს შ ი.

1. დასურათებული არითმეტიკული კრებული, შედგ. ქუთაისის სააზნ. შკოლის მასწავლებელთა ჯგუფის მიერ ფ. 7 შაური.
2. „ცხოვრება და მეცნიერება“. სალიტერატურო და სამეცნიერო კრებული, შედგ. ქართ. სტუდენტთა და ახალგაზდა მეცნიერთა მიერ ფ. 1 მან.
3. „ეროვნული შემოქმედება“. სახალხო ლექციები ალ. ჯ—ძისა ფ. 2 აბაზი.

**იბეჭდება და მალე გამოვა** ახალი რუსული პირველდაწყებითი სახელმძღვანელო, მრავლათ დასურათებული, შედგ. ქართ. სააზნ. გიმნ. მასწავლებელთა ჯგუფის მიერ და გ. იოსელიანის მიერ. ყრმათათვის გადმოღებული „ვეფხის ტყაოსანი“. თ.

---

## მიხეილის სათავად-აზნაურო
## საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა

ქუთაისს, წინაამდეგ გავრცელებული ხმებისა

## ა უ წ ყ ე ბ ს
## ბანკის მსესხებლებს,

რომ, თუ ხვედრი გადასახადი არ იქნა შემოტანილი დანიშნულ ვადაზე,

## დაგირავებული მამულები,

თანახმათ ბანკის წესდების მუხლებისა და მიუხედავათ თანამედროვე მდგომარეობისა,

## ს ა ჯ ა რ ო ვ ა ჭ რ ო ბ ი თ
### გ ა ყ ი დ უ ლ ი ი ქ ნ ე ბ ა.

---

ქ უ თ ა ი ს შ ი.

## თ. ა. მთაპრიშვილისა და ამხ.

წიგნისა და საკანცელარიო ნივთების

## მ ა ღ ა ზ ი ა

**აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ**

**მომავალი წლისათვის**

მას დამზადებული აქვს დიდძალი **სახელმძღვანელო** ქუთაის გუბერნიის საშუალო და დასაწყისს სასწავლებელში სახმარი, აგრეთვე საკითხავი წიგნები, რუსეთისა და კავკასიაში გამოცემული.

აქვე იყიდება ყოველგვარი საკანცელარიო ნივთები: რვეულები, საუკეთესო ღირსების ქაღალდისა (**თ-დ პასკევიჩის ფაბრიკისა**), კარანდაშები, კალმები, კალმის ტარები, სხვადასხვა ღირსების ფოსტისა და საწერი ქაღალდი და სხვა მრავალი საკანცელარიო ნივთი.

**ბითუმად მყიდველს ფასი დაეთმობა მორიგებით.**

---

ექიმი ივ. ბოკერიას **საბავშვო საავადმყოფო**

გადავიდა ახალ ბინაზე წითელ ხიდიდან, მიხეილის ქუჩაზე, კლუბის პირდაპირ. დასაწოლ ავათმყოფებს ღებულობენ ყოველ დროს.

---

## ვაცხადებ

ჩემ თხზულებებზე ხელის მომწერთა საყურადღებოთ, რომ მეორე წიგნის ბეჭდვა უნდა დამეწყო ამ ზაფხულს **მაგრამ რადგანაც ამ ჟამათ წინასწარი სამხედრო ცენზურა დაწესდა, წიგნის ბეჭდვა დროებით შევაჩერე.**

საერთო მდგომარეობის გაუმჯობესობისას ხელის მომწერლებს დაუყონებლივ დავაკმაყოფილებთ.

აქვე ვაცხადებ, რომ ბ-ნი აპ. ცინცაძე აღარ ითვლება ჩემ თხზულებათა გამომცემლათ. მას ყოველივე ანგარიში ჩამოერთვა და პირდაპირი პასუხის მგებელი მე გახლავართ.

**ია ეკალაძე.**

თ.

---

**ექიმი** **გ. დ. ნასარიძე** დაბრუნდა და ავათმყოფების მიღება განაახლა (შინაგანი ბავშვებისა და ნერვების სნეულებანი) დილით 9—2 საათამდი თფილისის ქუჩაზე, ეზიკოვის სახლში (ქალაქის პირველ აფთიაქის პირდაპირ).

---

**ექიმი** **გრიგოლ ალშიბაია** უკვე დაბრუნდა და განაგრძობს ავათმყოფების მიღებას ძველ ბინაზე.

---

**ელექტრონის და სინათლის სამკურნალო კაბინეტი**

**ექიმის გაბრიელ იოსების ძის გოკიელისა** შინაგანი, ნერვების და ვენერიული ავათმყოფთათვის. ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. სად. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

---

**ექიმი** **მ. დ. ბეთანოვი იღებს კანისა, ვენერიული, და სქესობრივი უძლურებით ავადმყოფთ** დილის 9—12 ს., საღამოს 5—8 ს. აფთიაქის ქუჩა № 24 საკუთ. სახლი.

---

**ექიმი** **ს. ი. ბეგოვი** იღებს ავათმყოფებს დილის 8—12 ს. საღამოს 5—8 ს. კათოლიკების ქუჩა, საკუთარი სახლი ტელეფონი № 121. თ.

---

კ. უნივერსიტეტის მედიცინის

**ექიმი** **ვ. ი კაკიტელაშვილი** საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და განაახლა (შინაგანი, ქალთა და საშარდე სნეულებანი) ავათმყოფების მიღება. საშარდე მილისა და ბუშტის ელექტრონით შენათება (ცისტოსკოპით) ათაშანგის წამლობა 606—914, განსაკუთრებული ელექტრონის სინათლით სამკურნალო კაბინეთი. ელექტრონის აბაზანები. მიღება დილის 9—12 საათ. და საღ. 5—7 საათ.

**მისამართი:** ქარვასლისა და პუშკინის ქუჩის კუთხე, პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპირ.

---

**ქ. ქუთაისში**

კბილის **ექიმი** **ს. ა. ცეიტლინი.** კბილის და პირის ავათმყოფობა. **ხელოვნური კბილების გაკეთება.** მიიღებს ყოველ დღე დილის 9—2 საათამდე და 4—7 საათ. სად. ბალახვანის ქუჩა, სახაზინო პალატის გვერდით. ტელეფონი 153.

---

**ექიმი** **ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფების მიღება **ახალ ბინაზე** დილით 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში.

---

**დოქტორი** მედიცინისა, პრივატდოცენტი **გ. პ. მოსეშვილი** ჩამოვიდა და ღებულობს შინაგან და ნერვების ავათმყოფებით სნეულებს დილის 8 ს.—12 ს., ნაშუადღევის 5 ს.—8 საათამდი.

გოსპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი № 6.

---




---

## ქალაქის მომავალი არჩევნების გამო.

ქალაქის ცხოვრებაში ხმოსნების არჩევანი პირველი და ღირსშესანიშნავი საქმეა: ხმოსნებმა უნდა უპატრონონ ქალაქს 4—5 წელიწადი; ამ ხნის განმავლობაში ხმოსანთა უნარსა, შემოქმედებითს ნიჭსა და გამჭრიახობაზე იქნება დამოკიდებული ქალაქის ყოფა-ცხოვრების ავ-კარგიანობა.

სწორეთ ამიტომ უნდა ცდილობდეს ჩვენი ქალაქის მცხოვრებლები, რომელთაც არჩევანში მონაწილეობის უფლება აქვს, რომ დაფიქრებით, თავისი საკუთარი და მთელი ქალაქის რეალური ინტერესების მიხედვით იხელმძღვანელოს სახმოსნო კანდიდატის დასახელებაში.

განსაკუთრებით ამჟამად ერთიორათ უფრო ასაწონ-დასაწონია საარჩევნო კომპანიის წარმოება: ქალაქის ახლანდელი ცხოვრება, ახლანდელი მეურნეობა მეტად გართულებულია: ახლა იგი აღარ გვაკმაყოფილებს, რაც 20 და 40 წლის წინათ საკმაოთ მიგვაჩნდა.

ქალაქს კულტურულად უნდა ცხოვრება და ჯერჯერობით კეთილგანწყობილი ცხოვრებისათვის თითქმის არაფერი არ გვაბადია.

ჩვენს ქალაქს არა აქვს წყალსადენი, არა გვაქვს ტრამვაი, არა გვაქვს თეატრი, რიგიანი თანამედროვე განათება, გვაკლია ჩვენი ცხოვრების შესაფერი შკოლები, გვიჭირს ფული, და ვერ მოგვინახავს ამ უსაჭიროესი საშვალების წყაროს გამოძებნა, გვაქვს მამულები და გვიძნელდება მათი რაციონალურათ სარგებლობა, მოვლა და პატრონობა; გვაკლია ხმოსანთა შორის გულწრფელი და მცხოვრებთა საჭიროებაზე გამოჭრილი სოლიდარობის განმტკიცება.

და, ვინ იცის, რამდენი რა ჩვენ გვაკლია!

ამიტომ უნდა ვერიდოთ ახლა მაინც არჩევნების საქმეში იმ ჩვეულებრივი ვნებისა და მანკის შეტანას, რის წყალობითაც ჩვენი დაწესებულებანი ჩვენს ცხოვრებას წინ კი არ უძღვიან, უნაყოფოთ უკან მიჩანჩალობენ.

თუ ჩვეულებრივი პარტიული და საპირადო ანგარიშების გასწორების გულის თქმას აყვევით, ახლანდელი ჩვენი არჩევნის კომპანიაც უნაყოფოთ ჩაივლის და 4—5 წლის სეზონი ქალაქისათვის დაკარგულათ უნდა ვიანგარიშოთ.

სწორეთ ისაა სატირალი და სამწუხარო, რომ არ იქნა და ვერ ამოვიღეთ გულიდან შენიან-ჩემიობის პრინციპით ხელმძღვანელობა არ მოხერხდა, რომ პირად წყენაზე აღმოცენებული სამაგიეროს გადახდა ერთმანეთ შორის ასე შესანიშნავ მომენტებში უკუვაგდოთ.

ეგ, რა საკვირველია, იმის დამამტკიცებელია, რომ თითქო ჯერჯერობით მოქალაქეობრივი სიმწიფე გვაკლია, საზოგადო საქმისთვის კი არა გვტკივა გული, არამედ წვრილმანი საპირადო ანგარიშები გვამოქმედებს.

ასეთი მიდრეკილება დიდი ხანია მაჯლაჯუნასავით გვაწევს გულზე და თითქმის ყველა ჩვენს საზოგადო საქმეს ახასიათებს.

# ევროპის ომი.

### ავსტრიის განცხადება.

**ლონდონი.** თემთა პალატაში ასკვიტმა შეიტანა ბილის. რომლის ძალით ჰომრულის სისრულეში მოყვანა გადადებული იქნება ომის დასრულებამდი. ასკვიტმა განაცხადა, რომ შესწორებული ბილი მომავალ სესიაში იქნება წარდგენილი გასახილველათ. იგი იმედოვნებს, რომ საკითხი მაშინ სასურველათ გადასწყდებაო. ასკვიტმა შესაფერისი ანგარიში გაუწია იმ პატრიოტულ აღტყინებას, რომელიც გამოიჩინეს ულსტერის ვოლონტიორებმა, რომელნიც ჩაირიცხენ, მომქმედ ჯარში ულსტერის განზრახვა გამოწვეულია სახელმწიფოებრივი კეთილდღეობის დასაცველათ. ბონაროლოვმა ოპოზიციასთან ერთად დაგმო მრავრობის პოლიტიკა ჰომრულის საკითხის გარკვევაში, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ულსტერის მთავრობა შეეცდება ყოველგვარათ დახმარება აღმოუჩინოს ინგლისს. ბილი ერთხმათ მიიღეს.

### მოხალისეები.

**ბელფორი.** 2 ეკენისთვე. დაპყრობილ პროვინციებში როგორც კი გავრცელდა ხმა გერმანელების დამარცხების შესახებ, მრავალი ელზასელი თავისი ნებით მოხალისეებათ ჩაეწერენ.

### ვივიანის განცხადება.

**ბორდო.** მინისტრ პრეზიდენტმა ვივიანმა მინისტრთა საბჭოში წაიკითხა სერბიელების მიერ ნიშიდან გამოგზავნილი დეპეშა: „აღფრთოვანებით ვეგებებით ფრანგების მხედრობის გამარჯვებას გერმანელებზე“. აქვე წაიკითხა მისმიერ გაგზავნილი სერბიელებისადმი თანაგრძნობის საპასუხო დეპეში.

### გოლანდიის ნეიტრალიტეტი.

**გააგა.** 2 ეკენისთვე. გერენალური შტატების გახსნისას დედოფალმა ვილჰელმინამ საჯაროთ წარმოსთქვა, ეროვნული სიტყვა, რომელშიც შემდეგი აზრი გაატარა:

გოლანდიამ ყოველ შემთხვევაში თავის დასაცველი სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს და ბოლომდი ნეიტრალიტეტი მტკიცეთ დაიცვასო.

### რუსებისა და გერმანელების ბრძოლა.

**პეტროგრადი.** იუზეროვთან, მდინარე ვისლაზე გადასავალ ადგილას, გერმანიის ლონდშტურმის დივიზია 17 ავგუსტოს მტრის ჯარი ჯერ კიდევ გაშლილი არ იყო, რომ ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა და ქვეითა ჯარის ნაწილმა მას ალყა შემოარტყა. ჩვენი არტილერიის ძლიერმა ცეცხლმა ლანდშტურმის ჯარის თავდასხმა უკუაქცია. იმათი ჯარის მოწინავე ნაწილი გაიქცა სხვადასხვა მხრისაკენ და დაიმალა ტყეში. ცუდათ ნასწავლი და სუსტ ცხენოსანი მტრის ბატარეია ცდილობდა წინა პოზიციების დატოვებას, მაგრამ ჩვენმა არტილერიამ ერთი ნაწილი ამოსწყვიტა და მეორე ნაწილი კი მიდვრათ გაფანტა ხედავდა რომ არტილერიას აუცილებელი დაღუპვა მოელოდა და მტერმა ცხენოსანი პოლკი წინ წამოიყვანა, მაგრამ ჩვენი არტილერიის ცეცხლს ვერც ცხენოსანმა ჯარმა გაუძლო და უკან დაიხია. ამ გმირულ საქმეში ავსტრიის ლანდშტურმა უდიდესი ზარალი ნახა. ჩვენ ამ ბრძოლაში დაგვიპყრეს და მოგვიკლეს 2 აფიცერი და ოცი ჯარისკაცი. იანოვში ბევრი დავატყვევეთ, ხელთ ვიგდეთ აგრეთვე ოთხი პურის საცხობი და სურსათის საწყობი. იანოვპიკულის გზაზე ათასი ურმები იარაღებით, მსწრაფლ მსროლელისა და საჭმელი სურსათით და ტვირთული ხელში ჩაგვივარდა. ლუტვეც-კრაკოვიცის ბრძოლაში 1400 კაცი წამოვიყვანეთ ტყვეთ. იქ დაგვრჩა აგრეთვე 6 გაუბიცი, 600 ურემი და 2 ფულის ყუთი. ურალსკის პოლკის ყაზახმა დიაკომა პირადათ თვითონ სამი აფიცერი და 19 ჯარის კაცი დაატყვევა და 32 ცხენი წამოიყვანა.

### ზღვაზე ბრძოლა.

**პეტროგრადი.** შანხაიდან ცნობაა, რომ შორეულ აღმოსავლეთის წყლებში ბრიტანეთის ფლოტმა დაიკავა გერმანიის სამი გემიო. გიბრალტარიდან მოსული ცნობით იქ მოაგროვეს დიდძალი გასათბობი მასალა. 5 ათასი მუშა ნავსადგურში მხოლოდ გემების ნახშირით დატვირთვაზე მუშაობს. ლიდში დგანან ავსტრიისა და გერმანიის ბევრი გემი, რომელიც ბრიტანეთის ნაღმოსან გემებისგანაა დაკავებული. საჭმელი სურსათი სიმაგრესა და ნავსადგურში საკმაოა.

### სერბიელების გამარჯვება.

**ბელგრადი.** მტრის ოთხი მანიტორი გამოვიდა ლანკამენიდან და სეკტემბერს ნაშუადღევს მიუახლოვდა ბელგრადს, თუმცა ისინი ბატარეის ძლიერი ცეცხლით უკუაქციეს. მანიტორებმა ღამით თავდასხმა ისევ განაახლეს. არტილერიის ცეცხლი დილის ოთხ საათამდი არ ჩამქრალა. სერბიის ბატარეის ცეცხლმა მანიტორები განდევნა და ისევ სლანკამენისაკენ წავიდენ. სერბიის ჯარმა აიღო ვიშეგრადი.

### სად იმყოფება ვილჰელმი.

**კოპენგაგენი.** ამსტერდამიდან მოსული ცნობით იმპერატორი ვილგელმი და გერმანიის გენერალური შტაბი ქალაქ ლიუქსენბურგში გერმანიის მისიის შენობაში იმყოფება. მისიის მახლობლათ ლაგერათ 700 კარმებში დაბანაკდა ულანები.

### გერმანელებისა და ფრანგების ბრძოლა.

**პარიზი.** 2 სეკტემბერს გამოქვეყნებული ოფიციალური ცნობა გვამცნობს: ჩვენი ჯარის მარცხენა ფრთა გამუდმებულათ ხვდება მტერს ყოველ ფრონტზე. მდინარე ეიდან და რეიმსის ჩრდილოეთ დასავლეთიდან ჩვენი თავდასხმა ცენტრზე არგონსკის ტყესა და მაას შუა გძელდება. არა მართალია ვითომ კრონპრინცის ჯარს ალყა ქონდეს შემორტყმული და ვერდენზე იერიში მიქონდეს. ბერლინის სააგენტოს ვოლფისგან რამდენჯერმე იყო იმის შესახებ ცნობა, რომ ვერდენს თავს არ დაეხსნენო თავს დაეხსნენ მხოლოდ ტრისიურნეს, რომელი ; არ ეკუთვნის ვერდენისსიმაგრეს მდინარე მაას შორის. მდინარე მაასთან აგებულ სიმაგრეებზე რამდენჯერმე მოიტანეს იერიში, თუმცა მასზე აშკარა შეტევამ უშედეგოთ ჩაიარა. გუშინდელ დღიდან ფორტი გაანთავისუფლეს. ჯარის მარჯვენა ფრთაზე მდგომარეობა შეუცვლელია.

**ჩიფუ.** იაპონელებმა აიღეს ცზიაჩჟოუ, ციმო ცინდაოს მახლობლათ. გერმანელებმა აეროპლანიდან პინდოს ბომბა ესროლეს. დახოცილია 40 იაპონელი.

**ცეტინიე.** ჩერნოგორელებმა დაიპყრეს გორაჟდე ფლეისა და ვიშეგრადის შუა. იერიშების მიტანას განაგრძობენ დასავლეთისკენ.

**პარიზი.** მტრის მარცხენა ფრთა უკან ჩამორჩა. ფრანგებმა მოასწრეს—გერმანელებს შეუერთდენ მაშველი ჯარები—საგერ ტაქტიკას დაადგენენ. დევნის დროს ფრანგებს ბევრი გერმანელი ტყვეთ ჩაუვარდა, აგრეთვე სამხედრო სურსათიც.

### კრეისერ პიემონის იტალიაში გაწვევა.

**კოპენჰაგენი.** ვენეციიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ იტალიის კრეისერი პიემონი, რომელიც სამალიდენდის ნაპირებთან ცურავდა, საჯაროთ გაიწვიეს იტალიაში.

### უმავთულო ტელეგრაფით ბიულეტენების გამოშვების შეწყვეტა.

ვაშინგტონი 3 ეკენისთვე. გაზეთები იუწყებიან, რომ ადგილობრივმა გერმანიის საელჩომ, რომელიც ბერლინიდან იძლეოდა ცნობებს, რომელსაც იგი იღებდა უმავთულო ტელეგრაფით, ომის შესახები ცნობების გამოშვება შესწყვიტაო. ეს მოულოდნელი სიჩუმე სავსებით არწმუნებს ამერიკის საზოგადოებრივ აზრს, რომ გერმანიის ჯარი მოკავშირეთა ჯარისაგანაა.

### სამხედრო ძალა.

**პეტროგრადი.** 2 ეკენისთვე. გარეშე საქმეთა მინისტრმა საზონოვმა მიიღო ჩეხის ოთხი საოლქოდან ამორჩეული რწმუნებულები. გალიციაში ბრძოლის დროს ტურობინის პოზიციაზე სხვა დავლათა შორის ხელში ჩავიგდეთ გერმანელების 36 მძიმე საველე ზარბაზანი, რომელზეც ვილჰელმის სახელი გადაბმულია ინიციალებით.

### ტყვე ავსტრიელები.

**კიევი.** სამხრეთ დასავლეთის გზით 60000 ტყვე ავსტრიელი მოვიდა. მოიტანეს სხვადასხვა სამხედრო დავლა, რომელიც ავსტრიელებს წაართვეს უკან დახევის დროს.

### ადმირალ სუშონის დანიშვნა.

**პარიზი.** 3 ეკენისთვე. გერმანელების ადმირალი სუშონი, როგორც ხმები დადის, ოსმალეთის საზღვაო ძალების მთავარსარდლათ დაინიშნაო. სუშონი კრეისერ გებენით მოვიდა. გერმანელების რამდენიმე ინჟინერი შეუდგენ გებენის ქვაბების შეკეთებასო.

### მოკავშირეთა ჯარის გამარჯვება.

**ნიში.** ჩვენი და მოკავშირეთა ჯარის ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, ნიშის მცხოვრებლებმა დიდებული მანიფესტაცია გამართეს მეფის სასახლის წინ. მეფის რწმუნებულმა მანიფესტანტებს მადლობა გადაუხადა და დაარწმუნა იგინი, რომ მოკავშირეთა ჯარი ღვთის შეწევნით საბოლოოთ დაამარცხებენ მტერს.

### ჩერნოგორელების გამარჯვება.

**ნიში.** ოფიციალურათ იუწყებიან, რომ 1 ეკენისთვეს ჩერნოგორელების ჯარი, რომელიც კურილოვის მიდამოებსა და კრასნიჩვაცკოს რაიონში მოქმედებდა ავსტრიის ჯარი დამარცხაო. სერბიელების ჯარმა მედგარი ბრძოლის შემდეგ ვიშეგრადი დაიპყრა. იერიშის მიტანა კიდევ გრძელდება. დრინისკენ მიიწევენ. ბოსნიის შუაგულში გაჩაღებული ბრძოლა სწარმოებს. კრუპანის რაიონში სერბიელები სტრატეგიულ პოზიციებს იჭერენ. სერბიის ჯარმა ლოზნიციდან მტრის ჯარს, რომელიც მდინარე დრინზე გადადიოდა, მოუსპო საშუალება თავი ძალა გაეშალა ბრძოლის ველზე. მტერი შეეცადა დრინაზე გადასვლას კურჩევინასთან, მაგრამ უკუგდებულ იქნა დიდი ზარალით. ამოსწყვიტეს მთელი როტა, ტყვეთ წამოიყვანეს ერთი აფიცერი, 50 ჯარისკაცი. ჩრდილოეთის ფრონტზე, სავის იქითა მხარეს, სერბიის ჯარი, მიუხედავათ გამარჯვებისა, იძულებული იყო უკან დაეხია, რადგანაც მტრის ძალა გაცილებით მეტი იყო.

### უმაღლესი მთავარსარდლის მოწოდება.

**პეტროგრადი.** უმაღლესმა მთავარსარდალმა ავსტრო უნგრეთის მცხოვრებთ შემდეგი მოწოდებით მიმართა: ვენის მთავრობამ რუსეთს ომი გამოუცხადა იმიტომ, რომ, იგი, თავის ისტორიული აღთქმისამებრ, გამოესარჩლა უმწეო სერბიას და დაიფარა სერბიის ხალხი დამონებისაგან. ავსტრო უნგრეთის ხალხს, რუსეთის ჯარის მეთაურობითა და რუსეთის დიდებული მეფის სახელით, ავსტროუნგრეთის საზღვრებში ვუცხადებ: რუსეთს არა ერთჯერ დაუღვრია სისხლი ხალხთა განთავისუფლებისათვის სხვათა მონობისაგან. მას არაფერი არა სურს გარდა სამართლიანობისა და მშვიდობიანობის დამყარებისა. ამჟამათ მას თქვენთვისაც მოაქვს თავისუფლება და განხორციელება თქვენი ხალხოსნურ მისწრაფება, ავსტროუნგრეთის მთავრობა საუკუნოებით სთესდა თქვენ შორის შურსა და მტრობას და ამ განხეთქილებაზე აშენებდა თავის სიძლიერეს. რუსეთი, პირიქით, მოწადინებულია შესრულოს მხოლოდ ერთი რომ ყოველმა თქვენგანმა შესძლოს თავისუფალი განვითარება და კეთილი წარმატება, შეინარჩუნოს თავისი სამშობლო ენა და სარწმუნოება და შეერთებული ღვიძლი ძმებივით იცხოვროთ მშვიდობიანათ მეზობელ ხალხთან ერთად. დარწმუნებული, რომ თქვენ მთელი თქვენის ძალღონით ხელს შეუწყობთ ამ მიზნის განხორციელებას, მოგიწოდებთ თქვენ—მიეგებოთ რუსეთის ჯარს, როგორც ერთგულ მეგობრებსა და მეომრებს თქვენი მომავალი საუკეთესო იდეალებისათვის.

უმაღლესი მთავარსარდალი—გენერალ ადიუტანტი **ნიკოლოზი.**

## უკანასკნელი ამბები.

### რუსები [illegible]

ბერლინში ადგილობრივი მთავრობის ნებართვით, პროფ. შიშანოვის მეთაურობით შესდგა კომიტეტი, რომელიც ხელს შეუწყობს სამშობლოში დაბრუნების მსურველთ. ახლო მომავალში ყოველ დღე აქედგან 400-მდე კაცს დაუწყებენ გზავნას კოპენგაგენისა და სტოკჰოლმის გზით. ბაქოელი მილიონერი ტაგიევი და სხვა ამისთანები შეეცადენ ბანკირ მენდელსონის საშუალებით ყველაზე ადრე აეღოთ წამოსვლის ნებართვა, რისთვისაც ისინი მზათ არიან დიდი შეწირულებანი გაიღონ. კომიტეტმა მათი თხოვნა ყოველ მიზეზის გარეშე უყურადღებოთ დასტოვა. იმპერიის კანცლერმა განაცხადა: იმ ავათმყოფ პირთაც მიეცებათ სამშობლოში დაბრუნების თავისუფლება, რომელთაც ჯერ კიდევ სამხედრო ბეგარა არა აქვთ მოხდილი, თუ კი რუსეთიც გერმანელ ქვეშევრდომთადმი მსგავს ზომებს მიიღებსო.

—

ბერლინის გაზეთებში აღნიშნული იყო, რომ ბელგიაში ამ მოკლე ხანში შესდგება გერმანიის მოკავშირეთა, კაროლებისა, თავადებისა და გერცოგების სხდომა. თათბირს შემდეგ ვილჰელმს განზრახვა აქვს შორეულ აღმოსავლეთში საომრათ წავიდეს.

—

კავკასიის სამზღვრებზე ოსმალეთის ჯარის უფროსათ დაინიშნა, ადრიანოპოლის სიმაგრეების კომენდანტი—შუქრი-ფაშა.

—

ქ. რიგაზე გერმანელთა აეროპლანები თარეშს კიდევ განაგრძობენ, ზევიდან ყრიან ფურცლებს, რომლითაც ლატიშებს დასახმარებლათ მოუწოდებენ.

—

ავსტრიელ ტყვეთა შორის ბულგარელებიც ბევრი აღმოჩნდა.

—

ჩრდილო ზღვაზე გერმანელები ნაღმებს ყრიან. ისინი მეთევზეების ნავით დაიარებიან. მათგანი ასეთი ნავი დაკავებულ იქნა, რომელზედაც 200-მდი ნაღმი აღმოჩნდა.

## კერძო დეპეშები.

**რომი.** ავსტრიელების დამარცხება სრულებით ნათელ ჰყოფს იტალიის ვითარებას. საზოგადოება მოითხოვს, რომ იტალიამ მიიღოს მონაწილეობა ევროპის ომში ავსტრო-უნგრეთის საწინააღმდეგოთ. აქ უკმაყოფილონი არიან მთავრობის მიერ დაკავებულ პოზიციით.

**პეტროგრადი.** ამ დღეებში ბუქარესტიდან ათინის გზით გაემგზავრა რომს საგანგებო დელეგაცია, რომელსაც მიზნათ აქვს გამოარკვიოს იტალიის განზრახვანი და მისი შემდეგი პოლიტიკური მოქმედებანი. დელეგაციის წევრები გამოსთქვამენ, რომ რუმინიის განწყობილება გერმანიისა და ავსტრიისადმი იგივეა, როგორიც იტალიისაო.

**კოპენჰაგენი.** მიუხედავათ სასტიკი ცენზურისა, გერმანიაში მაინც გაიგეს შვეიცარიი-

## „არჩილ ჯორჯაძის ფილოსოფიური შეხედულებანი“.

გრ. ვეშაპელისა. (იხ. „ცხოვრება და მეცნიერება“ № 1).

არჩილიო, ამბობს ავტორი „თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს „უფილოსოფობის“ სენით შეპყრობილ ქართველობაში, სადაც არამცთუ ფართო ინტელიგენტური წრეები, არამედ თვით მათი მოწინავე ბელადებიც კი მოკლებული არიან ფილოსოფიური აზროვნების უნარს. და განა ეს ჩვენთვის აუცილებელი ბედია?“

მაგრამ, ვინც კი მეცხრამეტე საუკუნის ქართულს პუბლიცისტურსა და პოლიტიკურ ლიტერატურას იცნობს, დამეთანხმება, რომ ავტორის ეს აღსარება არ შეეფერება სინამდვილეს.

არჩილ ჯორჯაძე მხოლოდ ერთი რგოლი იყო იმ ჯაჭვისა, რომელსაც წარმოადგენს მეცხრამეტე საუკუნის მესამოცე წლებიდან დაწყებული დღემდის პოზიტივისტური მიმართულება.

პირველი თაობა ჩვენი ინტელიგენციისა განიცდიდა ჩერნიშევსკისა, დობროლიუბოვისა, პისარევისა, ბაკუნინისა და სხ. გავლენას. სათავე ამ მიმართულებისა კი იყო ევროპის პოზიტივიზმი. დარვინის რუსულად გადათარგმნამ კიდევ უფრო გააღრმავა და განამტკიცა ეს მიმართულება. შემდეგ სპენსერის გავლენამ ხომ მას სრული გამარჯვება მიანიჭა.

არჩილის წინამორბედ ხანად შეიძლება ჩაითვალოს მეოთხმოცე წლები, როდისაც ახალგაზდობას ასაზრდოებდენ სპენსერი, მარქსი და მათი მიმდევრები.

მეოთხმოცდაათე წლებში ჩვენ გვაინტერესებდა არა მარტო პოლიტიკური, არამედ ზნეობრივი, ესტეთიური და წმინდა მეცნიერული ინტერესებიც. მაგრამ ჩვენს მსოფლმხედველობაში გამოსჭვიოდა იგივე პოზიტივისტური მეთოდი, ნასესხები საბუნებისმეტყველო მეცნიერებათაგან. მართალია, ჩვენ უარვყოფდით მეტაფიზიკას. მაგრამ მეტაფიზიკის უარყოფა ფილოსოფიის უარყოფაში უნდა ჩამოვვართვან?

ბ. გრ. ვეშაპელი, ვგონებ, პოზიტივურ ფილოსოფიას არც კი სთვლის ფილოსოფიად. დავუგდოთ ყური: „საიდან მოვალთ და სად მივალთ? რაშია აზრი ჩვენი ცხოვრებისა, რომელსაც თან სდევს ულმობელი სიკვდილი? უკვდავია ჩვენი „მე“—პიროვნება—თუ იგიც ჰქრება სამყაროს მარადისულ ცვალებადობაში? ვისი გული არ შემკრთალა ერთხელ მაინც ამ წყეულ კითხვათა მოგონებაზე? ვის სულს არ გადაფარებია ბინდი მწუხარებისა? მაგრამ დიადი სული არ კმაყოფილდება ზედაპირული განცდით. იგი თვისი არსების მთელი სიღრმით სწვდება ამ კითხვათა მარადისობას. მის გულში იბადება წინაგრძნობა იმ უხილავი, ხელუხლები სამყაროსი, რომლის არსებობაც ხდება არა ნაკლებ რეალობად, ვიდრე არსებობა ფიზიკური განცდის სფეროში მოთავსებული სინამდვილისა“.

მაშასადამე, ავტორის ფიქრით, ის, რასაც ჩვენ განვიცდით, მხოლოდ ზერელია, ზედაპირია სინამდვილისა, და არის კიდევ უფრო ნამდვილი სინამდვილე, რომელიც ფიზიკურ განცდათა სფეროს საზღვარს სცილდება! მაგრამ საიდან შეგვიძლია შევიტყოთ მისი არსებობა, რაც ფიზიკურად არ განგვიცდია? წინადგრძნობით? მაგრამ რა არის ეს წინადგრძნობა, თუ არ იგივე ფიზიკური განცდა? და შეიძლება თუ არა იყოს არაფიზიკური გრძნობა?

ჩვენ ვიცით, რომ არავითარი გრძნობა, მაშასადამე, არც წინაგრძნობა, არ არის თვიიერ ნერვიული სისტემისა. ნერვიული სისტემა კი—ფიზიკური ორგანოა და მისი განცდა შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური.

და მერე რა არის ის „უხილავი, ხელუხლებელი სამყარო“, რომლის განცდაც ჩვენ არ შეგვიძლია? საიდან ვიცით მისი თვისებანი? და, თუ არა ვიცით-რა მისი, რა ადგილი უნდა ჰქონდეს ამ უხილავს, ხელუხლებელს, სრულიად გაუგებარსა და უცნობს რასლაც ჩვენს მსოფლმხედველობაში?

აი ამიტომ უარყოფს პოზიტივიზმი ამ რასლაც ისეთს, რის განცდაც შეუძლებელია, ე. ი. უარყოფს ბუნების კიდევ მეორე ბუნებას, სუბსტანციას, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძველი თეოლოგიური მსოფლმხედველობის მემკვიდრეობას.

ამით განსხვავდება პოზიტივიზმი მეტაფიზიკისაგან.

როგორ სჭრის პოზიტივიზმი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს? ბიოლოგიურისა, ფიზიოლოგიურისა, ფიზიკურისა და მექანიკური კანონების საშუალებით.

მაგალითად. სისხლის ტრიალი გულსა და სისხლის მილებში ემორჩილება თხელადის დახურული მილების სისტემაში ტრიალის მექანიკურ კანონებს.

სითბო, რომელსაც წარმოშობს ცოცხალი ორგანიზმი, წარმოადგენს ფიზიკურ ექვივალენტს ორგანიზმში შეკრებული საზრდოს განსაზღვრული რაოდენობის დაწვისას.

ორგანიზმის ზრდა წარმოადგენს ერთგვარ აზოტიან რთულ ნივთიერებათა სინტეზს, ასსიმილიაციას, თითოეული უჯრედის პროტოპლაზმის ზედმოქმედებით.

სიკვდილი უჯრედისა, ე. ი. მისი პროტოპლაზმისა და გულისა,—დისსიმილიაცია, დაშლა არის.

საზრდოობა ორგანიზმისა შესდგება რთული დისსიმილიაციური, ე. ი. დაშლითი, და სინტეტიური, ე. ი. შეერთებითი, პროცესსებისაგან.

გამრავლება ორგანიზმისა არის მდედრობითი კვერცხისა და მამრობითი სპერმატოზოიდის შეერთებისაგან წარმოშობილი ნასახის პოტენციალური ენერგიისა და ფორმის შედეგი, რის გამოც თითოეული უჯრედი იზრდება და განიყოფება ორად, ვიდრე არ შესუსტდება ეს პოტენციალური ენერგია.

მოძრაობა ცხოველისა არის შედეგი თითოეული უჯრედის პროტოპლაზმის მოძრაობისა, რომელიც თავისი მხრით არის ერთგვარი ქიმიური აგებულების შედეგი.

იგივე ქიმიური აგებულება შობს პროტოპლაზმის ნიჭს გაღიზიანებისას.

აზოტი, რომელიც არის პროტოპლაზმის შემადგენელი ქიმიური ნაწილი, საზოგადოდ მჭიდროდ არ უკავშირდება სხვა ელემენტებს. ამიტომ თითოეული რთული ნივთიერება, რომელშიაც კი აზოტი ურევია, როგორც შემადგენელი ელემენტი, უწონასწორო, ადვილად ინგრევა (მაგალითად, ნიტროგლიცერინი). ამას გარდა პროტოპლაზმის მოლეკულა ძლიერ დიდია, აუარებელი ატომისაგან შესდგება და, საკვირველი არ არის, ასეთს დიდ მოლეკულას რომ წონასწორობა აკლია.

რატომ არის რადიუმის ატომი უწონასწორო? რატომ სწყდება ამ ატომს კიდევ უფრო პატარა კორპუსკულები, რომელთა ჩქარი სრბოლა სივრცეში შობს სხივებს? მიტომ, რომ რადიუმის ატომი ერთობ დიდია.

იგივე ითქმის პროტოპლაზმის მოლეკულაზედაც. ის ერთობ დიდია. და საკვირველი არ არის, რომ მას სწყდება ზოგიერთი ატომი უწონასწორობის გამო. მაგრამ იმავე დროს ამ მოლეკულას აქვს ნიჭი მიიზიდოს საზრდოდან დაკლებული ნივთიერება და კვლავ აღადგინოს სრულად თავისი შემადგენლობა. ამ მოლეკულას, ცხადია, მხოლოდ ძლიერ მცირე რაოდენობა ატომებისა შეიძლება მოსწყდეს, ვიდრე ცოცხალია იგი. რადიუმის ატომსაც ხომ შედარებით ისე მცირე რაოდენობა სწყდება კორპუსკულებისა, რომ ის კარგავს რადიუმის თვისებას მხოლოდ ათას წელს შემდეგ.

განვიმეორებ. ცოცხალი პროტოპლაზმის დიდი მოლეკულა მუდამ ჰკარგავს მცირე რაოდენობას ატომებისას, ე. ი. მუდამ ცვდება, მაგრამ იმავე დროს ის იზიდავს საზრდოდან დაკლებულ ნივთიერებას და კვლავ ივსება. როდესაც სჭარბობს უკანასკნელი პროცესსი, ე. ი. ასსიმილიაცია, მაშინ ორგანიზმი იზრდება. როდესაც სჭარბობს პირველი პროცესსი, ე. ი. დისსიმილიაცია, ან დაშლა, მაშინ ორგანიზმი ბერდება, ე. ი. თანდათან კვდება.

და სწორედ ეს მუდმივი დაშლა და აღდგენა პროტოპლაზმისა, ე. ი. მისი ასსიმილიაცია და დისსიმილიაცია, არის პროტოპლაზმის მოლეკულათა მოძრაობისა და გაღიზიანების უნარის მიზეზი. პროტოპლაზმას რომ ეს თვისება არა სჭროდეს, ის ვერ გაღიზიან-

დან გერმანელ ჯარების დამარცხების შესახებ, რამაც გამოიწვია მათში შიში და უკმაყოფილება.

**პეტროგრადი.** ჩვენი ჯარების დამარჯვებისთანავე ავსტრიაში, პოლონეთის დასავლეთ ნაწილიდან გერმანელებმა გაქცევა იწყეს.

**პეტროგრადი.** გერმანელებმა მლავზე ყუმბარები გადმოყარეს, რის გამოც გაპრილთა და დახოცილთა რიცხვი 80-ე კაცს აღემატება.

**სტოკჰოლმი.** შვეციის პრესა გვატყობინებს, რომ გერმანელები ცდილობენ საფრანგეთსა და გერმანიის შორის ზავი ჩამოაგდონო. გაზეთები აცხადებენ: საფრანგეთი, ელზასსა და ლოტარინგიას გარდა, სხვა მოთხოვნილებებსაც წარუდგენსო, ასე რომ, ზავზე ლაპარაკი ნაადრევია, ვიდრე გერმანელების სრული დამარცხებით არ გათავდება ომიო.

**ბორდო.** კრონპრინცის ჯარი მეტათ უნუგეშო მდგომარეობაშია, რადგანაც რკინის გზები განადგურებულია და ავტომობილებით სარგებლობას კიდევ ბენზინის უქონლობა უშლის ხელს.

**ურმია.** 2 ეკენ. ნაწილი ოსმალეთის ჯარისა სპარსეთის საზღვრიდან წაწეულა ერზერუმისკენ. მათ მაგიერობენ ჟანდარმები და გამიდის პოლკები ბაშკალში, სარასა და ირჯიბში, სადაც ახლა იარაღის ხმარებას სწავლობენ. მათ ურიგდებათ ძველი რიგის თოფები, ახალ თოფებს ერზერუმის საზღვრისკენ აგზავნიან.

**გაზეთ „იმერეთის“ რედაქციაში. მიიღება შემოწირულება ჯარში გაწვეულ პირთა ოჯახების დასახმარებლად.**

**შემოწირულება რედაქციის მიერ გადაეცემა ომში გაწვეულ პირთა ოჯახების დამხმარე საგუბერნიო კომიტეტს.**

# ქუთაისი.

ახალი ამბავი.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, საქართველოს ეგზარხოსი პიტირიმი ამ დღეებში ქუთაისს უნდა ჩამოსულიყო და გელათობა 8 სეკტემბერს, გელათის მონასტერში ეწირა. როგორც გავიგეთ, ეგზარხოსი ველარ ჩამოვა, ვინაიდან—უხიდობის გამო მონასტერთან მისვლა-მოსვლა თითქმის შეწყვეტილია.

ამ დღეებში ყ-დ სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზმა ეგზარხოს პიტირიმისაგან დეპეში მიიღო, რომ იგი მოკლე მომავალში გავიწვევა.

ამრიგათ ყ-დ სამღვდელო პიტირიმს დიდი სურვილი ჰქონდა 8 სეკტემბერს გელათში ეწირა, მაგრამ მას გარემოებამ ხელი არ შეუწყო.

კარგს იზამს გუბერნიის სააშენებლო განყოფილება განკარგულებას მოახდენდეს და ხსენებულ ადგილას, რაც შეიძლება მალე ხიდს დაჩქარებით გააკეთებდეს, რომ მომავალში, როცა ყ-დ სამღვდელო პიტირიმი ჩამობრძანდება, წყალ-გამოღმა არ დარჩეს.

◆ 5 სეკტემბრიდან ქალაქის გამგეობაში დადგმული იქნება ყუთი, რომელშიც ამომრჩევლებს შეეძლებათ ჩააგდონ მომავალი ოთხი წლისათვის (1914—1918 წ. წ.) ასარჩევ საბჭოს კანდიდატების სიები.

◆ **პროფესორი ნ. მარი** ამ დღეებში სხვა და სხვა საქმისათვის გურიიდან ქ. ანს წავიდა ბ-ნი მარი. ანიდან პეტროგრადს გაემგზავრება.

◆ **იმერეთის ეპარქიის საბჭოს სხდომა.** 3 სეკტემბერს, იმერეთის ეპარქიის სამოსწავლო საბჭოს კანცელარიაში შესდგა მორიგი სხდომა. სხდომამ განიხილა ომში გაწვეულ სამრევლო სკოლების მასწავლებელთა საკითხი. საბჭომ დაადგინა: ასეთ მასწავლებლებს შეენახოთ ადგილები ჯამაგირით—ხოლო დროებით მათ ადგილზე დაინიშნოს სხვები მაშინ, როდესაც მათთვის უმაღლესი სამოსწავლო მთავრობისგან ფული გამოგზავნილი იქნება.

ამავე დღეს საბჭომ დაადგინა: დატოვებულ იქნას თავის ადგილზე ქუთაისის მაზრის სოფ. დვალიშვილების სამრევლო სკოლის მასწავლებელი ვლადიმერ ჩხაიძე.

ბ-ნ ჩხაიძეს მისდა უნებურათ უპირებდენ გადაყვანას და მის ადგილის დაკავებას მისი მეზობელი მასწავლებელი ცდილობდა.

◆ **სასწავლებელში.** მკითხველი საზოგადოება განცხადებიდანაც გაიგებს, რომ ამ თვიდან ქუთაისში იხსნება ქალთა სახელოსნო პრა-კერვის სამ-კლასიანი სასწავლებელი, სადაც სწავლის ფასი იქნება ყველასათვის ხელმისაწდომი, 20—30 მანეთამდე. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საზოგადოება გულგრილად შეხვდება ასეთი ტიპის სასწავლებლების გამრავლებას, რადგანაც დღეს პროფესიონალურ სამეურნეო და საოჯახო სასწავლებლები მეტად საჭიროა და დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენ ქალებს.

◆ ამ დღეებში. ნანეი შვილის საზოგადოებში (გურია) ვიღაცეებმა ტყეში მოკლეს ცნობილი ყაჩაღი—ბათლომე ახალაძე

**სასწავლებელში.** ქალაქის მესამეპირველ—დაწყებით სასწავლებელში მოსწავლეთაგანი, რომლების მამები ან ძმები ომში არიან გაწვეულნი—პედაგოგიურმა საბჭომ სწავლის ფულისაგან გაათავისუფლა.

ქუთ ქართულ გიმნაზიის შენობას ამ ჟამად რემონტს უკეთებენ.

◆სასამართლოში. 3 სეკტემბერს ქუთ. ოლქის სასამართლოს დარბაზში თბილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია იოსებ ყვაჩაძის საქმე. მას ოლქის სასამართლოსგან თავდასხმისათვის 8 წლის კატორღა ჰქონდა მისჯილი. პალატამ სასჯელი 2 წ. და 8 თვისი გამასწ. რაზმზე შეუცვალა.

◆ ამავე დღეს თფ. სამოსამართლო პალატამ გაარჩია ალექსანდრე ცხვიტარიასი და ანტონ ცულაიას საქმე. მათ ავაზაკობა ბრალდებოდათ. პალატამ მათ ათ-ათი წლის კატორღა მიუსაჯა.

◆ 6 სეკტემბერს ოლქის სასამართლო გაარჩევს, ვლ. ციტლიძის, დავით სატირიშვილის ზაქარია კაპანაძის, დავით უკლებას, ილია კუხიანიძის და სხვების **საქმეს**.

# თფილისი.

— ომიანობისაგან დაზარალებულთა ცენტრალურ საქალაქო კომიტეტის სააღმასრულებლო ბიუროს კრება 1 სეკტემბერს მოხდა ქალაქის მოურავის ა. ი. ხატისოვის თავჯდომარეობით. კრებაზე გამოირკვა, რომ ქალაქს თითქმის უკვე მზათ აქვს 1000 საწოლი ავათმყოფ და დაჭრილ მეომართათვის; 1000 საწოლის მოწყობა დაჯდება 80,000 მანეთი ბიურომ დაადგინა, ტრამვაის სააბონიმენტო წიგნაკის ფასი 10 კ. მოემატოს და ეს ზედმეტი ფული, რომელიც ვარაუდით დღეში 30 მან. შეადგენს, ომის საჭიროებისათვის მოიხმარონ. აგრეთვე საჭიროდ იქნა აღიარებული, რომ მაღაზიებში დაარიგონ საგანგებო მარკები, რომელსაც მაღაზიის მეპატრონეები მყიდველთ მიყიდიან.

— **ომის გარშემო.** ამ დღეებში დიდძალი გაჭირვებული ოჯახი არტყია ქალაქის გამგეობას და შემწეობას თხოულობს. ქალაქის მოსამსახურენი ამოდენა ხალხს ვერ უძლვებიან, თუმცა საღამობითაც მუშაობენ.

ომში გაწვეულთა ცოლებმა, რიცხვით 90-მა (რუსებმა) გუბერნატორთან უჩივლეს ქალაქის გამგეობას, შემწეობას მხოლოდ ადგილობრივ მცხოვრებლებს აძლევს და ჩვენ ისე გვტოვებსო. ამის გამო გუბერნატორმა ქალაქის გამგეობას წინადადება მისცა, დაუყონებლივ დააკმაყოფილე მოჩივარნიო. ამის პასუხათ გუშინ ქალაქის გამგეობამ გუბერნატორს გაუგზავნა წერილობითი მოხსენება, რომლიდანაც სჩანს, რომ მომჩივართაგან სამს შემწეობა ორორჯელ მიუღია, 48 კაცს—თითოჯერ, 39 კაცი არა საჭიროებს საქალაქო დახმარებას და დანარჩენთა ნივთიერი მდგომარეობა გამორკვეული არ არის.

თფ. პირველ საკომერციო სასწავლებლის შენობას ჯარი დღესაც ცლის.

7 სექტემბერს თფ. ვაჭართა საზოგადოების წევრთა საერთო კრება მოხდება მეომართა ოჯახების დახმარების საკითხის განსახილველად.

— **მეღვინეობის მდგომარეობა.** როგორც ვწერდით, საგანგებო დეპუტაციამ, მევენახეობა-მეღვინეობის კომეტეტის სახელით შუამდგომლობა აღძრა, რათა თფილისის გუბერნიაში ღვინის გაყიდვის ნება დართონ. როგორც დანამდვილებით გავიგეთ, კავკასიის უმაღლეს მთავრობას შესაძლებლად უცვნია, ღვინის გაყიდვის ნება დართულ იქნას, მხოლოდ დუქნებში ღვინის დალევა კი აიკრძალოს. ამასთანავე საჭიროდ უცვნიათ, გამოსცენ ღვინის ვაჭრობის საგანგებო წესები.

— **მოწყალების დათა მეოთხე კურსები** გუშინ გაიხსნა ქალაქის საავადმყოფოსთან. კურსებზე 80 ქალი მიიღეს.

— **ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოებაში.** როგორც თავის დროზე ვწერდით, საზოგადოების გამგეობამ გადაწყვიტა 1 სეკტემბრიდან რამდენსამე ადგილას ახალი სკოლების გახსნა. შესაფერი შუამდგომლობა სახალხო სკოლების დირექციის წინაშე გამგეობამ დიდი ხანია აღძრა, მაგრამ დღემდი არავითარი პასუხი არ მიუღია. როგორც ახლა გამოირკვა, დირექციას თხოვნები გამოუგზავნია კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის კანცელარიაში და ამ თხოვნების ბედი გადასწყდება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ნ. ფ. რუდოლფი ესენტუკიდან თფილისს დაბრუნდება. ასეთ გამოურკვეველ მდგომარეობის გამო წ.-კითხვის გამგეობა მეტად ცუდს პირობებშია ჩაყენებული და არ იცის როგორ მოიქცეს.

როგორც გავიგეთ, ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების წევრთა შორის აღიძრა საკითხი იმის შესახებ, რომ ისარგებლონ ახალის კანონით, რომელიც კერძო სკოლების დაარსებასა და მართვა-გამგეობას შეეხება. ეს კანონი, რომელმაც სახელმწიფო სათათბიროსა და საბჭოში გაიარა, ამ წლის 1 ივლისს უმაღლესად დამტკიცდა. ამ კანონით ძალიან გაადვილებულია კერძო სასწავლებლების დაარსება და მისი ძალით ამგვარ სასწავლებლების დაარსება შეუძლიანთ: საქალაქო და საერობო თვითმართველობას, კერძო ამხანაგობათ და კერძო პირთ. დამაარსებელს ყოველგვარ ტიპის მასწავლებლის დაარსება შეუძლიან: დაბალისა, საშუალოსი და უმაღლესისა, საზოგადო საგანმანათებლო, სპეციალურისა და შერეულ პროგრამისა, ისეთისაც, სადაც ორივე სქესის მოსწავლენი იქნებიან, პანსიონით და სხვა შეუძლიან დაარსება აგრეთვე კურსებისა და კლასებისა. კერძო სასწავლებელში, რომელსაც არ ექნება სახელმწიფო სასწავლებლის უფლება, სწავლა შეიძლება სწარმოებდეს დედა ენაზე. ვისაც სურს სასწავლებლის დაარსება, უნდა წარადგინოს თხოვნა, სადაც ჯერ არს, კანონიერის ფორმით და თუ ორის თვის (დაბალ სასწავლებლისთვის) ან სამის თვის (საშუალო და უმაღლეს სასწავლებლისთვის) განმავლობაში არ მოუვა უარი, ნება ექნება გახსნას სასწავლებელი. დედა-ენის უფლება განსაზღვრული იქნება მხოლოდ ორ შემთხვევაში: 1) ქალაქის ან ერობის დაარსებულ სასწავლებელში სწავლა უნდა სწარმოებდეს სახელმწიფო ენაზე და 2) კერძო სასწავლებელში მასწავლებლობის უფლება არ ექნება მას, ვინც კერძო სასწავლებელი დაასრულა, ვისაც სახელმწიფო სასწავლებლის ატესტატი არა აქვს და სხვა.

# მკვლელობა სოფ. ვანში.

ქუთაისის მაზრის, სოფ. ვანში გასულ კვირაში ვიღაც ბოროტმოქმედმა თოფით მოჰკლა ამავე სოფლის მცხოვრები პარმენ სანადირაძე, რომელიც საღამოს შებინდებისას მოდიოდა თავის სახლში; უცნობი პირი [illegible] ფილა იქვე განსვენებულის ეზოს მახლობლად სიმინდის ყანაში გზის პირად ჩასაფრებული, სადაც ელოდებოდა თავის მსხვერპლს; გაუვლია თუ არა სანადირაძეს, თოფიც გამოვარდნილა ყანიდან, ერთი დაუყვირია „ვაიმე მომკლესო“ და წაქცეულა. ლაპარაკობენ, რომ განსვენებულს საჩივარი და დავა უყვარდაო. დაკავებული არიან იქაური მცხოვრებნი ნესტორ აბრამიძე და ორიოდე სხვა, რომელთაც ეჭვით ბრალდებათ მკვლელობა. განსვენებული იქნებოდა 45 წლის კაცი, წინათ ქუთაისის თავად-აზნაურთა საკრებულოში მსახურობდა, ბოლო დროს კი ჭიათურაში მრეწველობდა. შეხედულობით, და აგრეთვე გამოლაპარაკებითაც ის იყო მეტად თავაზიანი და მშვიდობიანი ადამიანი. დარჩა განსვენებულს ცოლი და წვრილი შვილი.

**ლ. ბ.**

# ხალხის მტრები.

(გარეშეს წერილი).

ომის გამოცხადებისთანავე, როგორც მთელ საქართველოში, აგრეთვე მის ნაწილ სამეგრელოში გავრცელდა ხმა თითქოს სათათრეთიც ერეოდა ამ საერთო ომიანობის ქარტეხილში. გავრცელებული ხმები შესაძლოა მართლაც და რაიმე მიზეზებზე იყო დამყარებული, მარა ის აუწერელი შიში, რომელიც დაბადა ჩვენში ამ ხმებმა, სრულიად მოკლებულია საფუძველს. თათრები ომის გამოცხადებისთანავე ბათომს აიღებენ, შემოესევიან გურიას, სამეგრელოს; აგვაწიოკებენ, გაგვაოხრებენ—ეს ყველაფერი ნაჩქარევი და სუბუქი აზროვნების შედეგი იყო. სამწუხაროდ ამ ხმებს ძალზე ცუდი ნაყოფი გამოუღია. მთელი სამეგრელო,—აქიდან ჩამოსულთა გადმოცემით, შიშს მოუცავს. მეგრელები ყოველ დღე თათრების მოლოდინში არიან. ბევრს ხაბაკი აუკრავს და იმაზე ოცნებობს სად გაიქცეს. ბოროტი პირები, სარგებლობით და გამორჩენით დაინტერესებულნი ამ საეჭვო ხმებს უფრო ავრცელებენ, ნავთზე ცეცხლს ასხავენ და რაც ძალი და ღონე შესწევთ კრეჭენ საბრალო გლეხკაცობას. მთელ ზუგდიდის მაზრას ჩარჩ-ბაცაცები მოდებიან და ჩალის ფასათ იყრიან ხელში გლეხების ნაპირნახულევს. სულ ერთია—ავრცელებენ აქ ხმებს ხალხის მტრები—თუ პუქთად არ მოგვცემთ საქონელს მალე თათრები ჩამოვლენ და თქვენი ავლა-დიდება მათ დარჩებაო. დაბეჩავებული გლეხობა იჯერებს ამ მსუნაგთა გავრცელებულ ხმებს და ჩალის ფასში ეთხოვება თავისი ოფლითა და შრომით მონაგარ ქონებას. ეს ასე ხდება და თურმე სამწუხაროდ კაცი არ არის მშველელი საქმის ნამდვილი ვითარება აუხსნას გლეხებს და მსუნაგ ჩარჩ-ბაცაცების გაყვლეფისაგან დაიცვას.

**ილია ბახტაძე.**

დებოდა და ვერ იმოძრავებდა. ის იქნებოდა უძრავი, უცვლელი და გაშეშებული, როგორც ქვა.—ის არ იქნებოდა ცოცხალი, მოძრავი და გაღიზიანების უნარის მქონებელი არსება.

მაშასადამე, ერთი და იგივე ქიმიური და ფიზიკური მიზეზი შობს მოძრაობასა და გაღიზიანებასა, ზრდასა და დაშლასა, სიკვდილსა და სიცოცხლესა.

ერთი სიტყვით, სიკვდილი და სიცოცხლე ორი პირია ერთისა და იმავე ქიმიურისა და ფიზიკური პროცესსისა.

მაშ რა არის სიკვდილი ქიმიური თვალსაზრით? ეს არის ცოცხალი პროტოპლაზმის, ე. ი. ცოცხალი ცილის, მოლეკულის დანგრევა, დაშლა, გარდაქმნა მარტივ, მკვდარ ცილად. ამ დროს ხშირად კლებულობს აზოტის რაოდენობა მჟავდედასთან (კისლოროდთან) შედარებით, ხანდახან კი ამის წინააღმდეგი პროცესსი ხდება. უკეთ რომ ვთქვათ, ირღვევა ერთგვარი ურთიერთობა, პროპორცია აზოტსა, მჟავდედასა, წყალდედასა და ნახშირდედას შორის. მკვდარ ცილს კი აღარ აქვს, რასაკვირველია, ცოცხალი ცილის, ან უჯრედის, ხსენებული თვისებანი.

როგორ უნდა ვუყუროთ სიკვდილს ბიოლოგიური თვალსაზრისით? სიკვდილი კეთილშენაძენი თვისებაა ორგანიზმისა. სიკვდილი რომ არ ყოფილიყო, სახეთა ევოლიუცია, ორგანიზმების განვითარება, არ მოხდებოდა. კვდება ორგანიზმის ის ნაწილი, რომელმაც დაასრულა თავისი ევოლუცია, ე. ი. რომელსაც აღარ შეუძლია განაგრძოს კიდევ განვითარება. არ კვდება ორგანიზმის თესლი, რომელსაც ავსებით აქვს დაცული პოტენციალური, ძლითი ენერგია, საჭირო გამრავლებისა და განვითარებისათვის. და ამგვარად შესაძლებელი ხდება ახალი, უფრო განვითარეაული ორგანიზმების წარმოშობა.

ამგვარად ის, ვინც აღიარებს ორგანიზმების ევოლიუციის აუცილებლობას, უნდა აღიარებდეს იმავე დროს სიკვდილის მიზანშეწონილობას. ამ მხრით სიკვდილი—აუცილებელი, სასურველი მოვლენაა. უნდა ვისურვოთ კი, რომ, ვიდრე ორგანიზმი ცოცხალია,—მკვდარს არ ემსგავსოს.

მაგრამ უნდა ვიდარდოთ თუ არა, რომ „ამ სოფლად ხმება იასამანი და ფრინველთა გალობაც ხანმოკლეა, ამ სოფლად ტუჩი ტუჩს ოდნავ ეწაფება, ამ წუთისოფელში ყველანი დასტირიან ზოგი მეგობრებს, ზოგი საყვარელს“, ე. ი. რომ ყველაფერი წარმავალია?

ევოლიუციონისტისათვის აქ არაფერი არ არის სამწუხარო და სავალალო. პირიქით, ყველაფერი რომ წარმავალი არ ყოფილიყო, მსოფლიო გაშეშებული, უძრავი, მკვდარი იქნებოდა. კოცნა მუდმივი, აბსოლიუტური არ შეიძლება, რადგან მაშინ მოკლებული იქნებოდა სიტკბოებას. გრძნობა მხოლოდ მაშინ არის, როდესაც წამიერია, მუდმივი არ არის, სხვა გრძნობას უთმობს ალაგს. ყველაფერი პირობითია, შედარებითია: არა არის-რა აბსოლიუტური, მარადიული, უპირობო. რაც კი რამე გვიყვარს და ვაფასებთ, მიტომ არის საყვარელი და დასაფასებელი, რომ წარმავალია, დროებითია, პირობითია.

გრძნობათა წარმავალობა ან მარადისობა ადვილად შეგვიძლია ავხსნათ დარვინის თეორიის თვალსაზრისით. ის, რაც უფრო საჭიროა, უფრო ხანგრძლივია და, პირიქით, ის, რაც უფრო არ არის საჭირო, უფრო წუთიერია. მაგალითად. სქესობრივი აღფრთოვანება მალე ჰქრება: ასე რომ არ ყოფილიყო, კაცი ველარაფერს გააკეთებდა და თან გადაყვებოდა სიყვარულს. სიყვარული შვილისადმი კი თანდათან მატულობს, რადგან ეს გრძნობა არის წყარო სოციალურისა და ზნეობრივი ენერგიისა. ამიტომ, რაც უფრო შედის კაცი სიბერეში, მით უფრო ძლიერდება ეს გრძნობა, მით უფრო ნაკლებად აგონდება მას თავისი თავი და უფრო ფიქრობს ჩამომავლობაზე. ნორმალური სიბერე აკეთილშობილებს სულს.

ზრუნვა სხვისთვის, ე. ი. მეგობრისა, ჩამომავლობისა, საზოგადოებისთვის, გამომდინარეობს ზნეობრივი გრძნობისაგან, რომლის ევოლიუცია წარმოადგენს თავდაცვის ბრძოლის შედეგს.

კაცს სიყრმიდან სიკვდილამდის თანდათან უნდა ემატებოდეს ეს გრძნობა. და ის, ვინც თავისი ზნეობრივი მოვალეობა ღირსეულად აასრულა, სულით და გულით დამშვიდებული ეთხოვება ამ სოფელს. ასეთია ბუნება კაცისა, ასე ინება ბუნებამ.

მაშ უნდა ვიდარდოთ თუ არა სიკვდილი? ჩვენი თვილსაზრისით სრულიადაც. არა რუსთველის სიტყვებში; „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“, ღრმა პსიქოლოგიური ჭეშმარიტებაა. ასეთია ნორმალური ადამიანის ზნეობრივი თვისება, რომელიც არის აგრეწოდებული ბუნებრივი შერჩევის ნაყოფი.

მაგრამ უნდა ვინაღვლოთ თუ არა, რომ ოდესმე მთელი დედამიწა დაიშლება, ქაოსად გარდაიქმნება და, მაშასადამე, სიცოცხლე აღარ იქნება? თუმცა მიხაილოვსკის სუბიექტივიზმს არ აღვიარებ, მაგრამ ხშირად ის ნამდვილს პოზიტივისტურ გზას ადგია. ხსენებულ საკითხზე, მაგალითად, ის აი რა პასუხს იძლევა: ამ საკითხის გადაჭრა ჩვენი საქმე არ არის. ყოველ თაობას თავისი საკუთარი საკითხეები აქვს გადასაწყვეტი. არავინ იცის, რა იქნება რამდენსამე მილიონ წელს შემდეგ, როგორი იქნება მაშინ კაცი ან ბუნებაო. და, ცხადია, სავსებით ვეთანხმები ამ პოზიტივისტურ შეხედულობას.

ერთი სიტყვით, ჩვენ ამგვარ ფილოსოფიას აღვიარებთ. ვიდრე ცოცხალია კაცი, რაც მეტია მასში ძალა სიცოცხლისა, მით უფრო უყვარს ცხოვრება, ე. ი. ჩამომავლობა და ბუნება. და, რაც უფრო უზრუნველყოფილად სტოვებს ჩამომავლობას, მით უფრო დამშვიდებულია მომაკვდავის სული.

მაშასადამე, ჩვენი მიზანი უნდა იყოს, შევქმნათ ისეთი პირობანი, რომ კაცს ენერგია და სიცოცხლის ხალისი ღრმა მოხუცებულობამდის მიჰყვეს და სიკვდილის დროს უკვე მოხდილი ჰქონდეს ვალი ჩამომავლობის წინაშე.

ეს არის პოზიტივისტური ოპტიმიზმი, რომელსაც აღიარებენ სპენსერი, მეჩნიკოვი და სხვანი. ჩვენს ზნეობრივ სფეროში ადგილი არ აქვს ენერგიის განმანადგურებელს უმიზნო პესსიმიზმს. და ჩვენი ზნეობრივი ფილოსოფია, ეთიკა, მეცნიერების შუქით არის განათლებული. რატომ არ არის ამგვარი მსოფლმხედველობა ღირსი „ფილოსოფიის“ სახელწოდებისა? ვერ გაგვიგია.

რაც შეეხება არჩილს, ის ამ მხრით მერყევი იყო. მაგალითად, როდესაც ის „რეალისტი“ იყო, ამბობდა: „სული და ნივთიერება, იდეა და მატერია ურთიერთისაგან დამოუკიდებელი პარალელური პროცესსიაო“. ავენარიუსი კი ამტკიცებს აუარებელი ფაქტით, რომ სული დამოკიდებულია იმ ფიზიკური პროცესებისაგან, რომელთაც აქვთ ადგილი თავის დიდ ტვინში. მახი ხომ პირდაპირ ამბობს: სულიერი იგივე ფიზიოლგიურიაო.

აი რას ამბობს მეორე ადგილას არჩილი: „თავისუფლება განსაზღვრული მიზნის ასრულებაა... იგი უარყოფაა ყოველივე დაბრკოლებისა. აუცილებლობა კი განუსაზღვრული ბრმა პროცესის მსვლელობაა. აქ განდევნილი ყოველივე დაფასება ზნეობრივი საზომის მიხედვით. აუცილებლობამ არ იცის სიკეთე და სიავე. „აუცილებლობა“ და „თივისუფლება“—ორი წინააღმდეგობაა. რამდენად პირველი ბატონდება, იმდენად მეორე ილახება. მათ შორის ბრძოლაა... როდესაც უკეთესი მომავლის, უკეთესი წესწყობილებისათვის გამოვდივართ სამოქმედოდ, ადამიანის პრაქტიკული მოქმედება ვერ დაემორჩილება აუცილებლობის კანონს, რადგან აუცილებლობა—თავისუფლების დამხობა და გათახსირებაა“.

ავენარიუსი კი ამ სიკითხის შესახებაც ნამდვილი დეტერმინისტია. ის ამბობს: თავისუფლება ის არის, როდესაც კაცის მოქმედება ემორჩილება განსაზღვრულს ზნეობრივ კანონს. და თავისუფლებას არ აქვს ადგილი მაშინ, როდესაც კაცის მოქმედება არავითარ წესსა და კანონს არ ემორჩილება, ე. ი. როდესაც მისი მოქმედება ალვირახსნილია, უწესრიგოა. ჩვენ, რასაკვირველია, სავსებით ვეთანხმებით ავენარიუსს.

და ვფიქრობთ, ის გზა, რომელსაც ადგა უკანასკნელ ხანს არჩილი, გზა მეტაფიზიკისა და პესსიმიზმისა, შემცდარია, და ხსნა მხოლოდ თანამედროვე პოზიტივიზმში, ან, უკეთ რომ ვთქვათ, მეცნიერებაშია.

**ისარი.**

სავაჭრო სახლი
ი. გოკიელის შვილების
ქუთაისში.
ამით აუწყებ მოსწავლე ახალგაზდობას რომ მათ მაღაზიაში მიღებულია დიდი ასორტიმენტი
აუცილებელი საწერი, სახატავი და სხვა სრავალი საკანცელარიო ნივთი ფასები ხელმისაწვდომია. თანახმად კავკასიის საოლქო მზრუნველის წინადადებისა, ჩვენ მიერ გამოცემულ რვეულებსა და დღიურებზე მოთავსებულია დარიგებანი თუ როგორ შეიძლება თავის დაღწევა (მალერისაგან) ციებისაგან, [illegible]
ხელახლად ჩვენ-მიერ გამოცემულია დღიურები მოწაფეთათვის, რომლებიც სავსებით მოწაფეთა მოთხოვნილებაზეა შეთანხმებული. დღიურები დაბეჭდილია საუკეთესო ქაღალდზე და მიუხედავათ ამისა ფასები დატოვებულია წარსული წლის.

# პატარა თიკო.

(მოხუცის ნაამბობი)

**ნამდვილი ამბავი ახლო წარსულიდან.**

— თიკო, გენაცვალე! მოდი... წყალი... წამოიკნავლა ავათმყოფმა დედამ და ცრემლებით სავსე თვალები მიაპყრო რვა წლის თავის ქალს. უძლურ დედას სნეულებასთან ერთად სტანჯავდა თავისი პატარა ქალის უბედობა თავის სიკვდილის შემდეგ. წუთისოფლის სტუპრები ვართ, იტყოდა ხოლმე სოფიო ჩვენ წავალთ, სხვანი დარჩებიან. სიკვდილი ისეთი მოვლენაა, რომლისგანაც კაცს ვერაფერი ვერ იხსნის. ადრე თუ გვიან ჩემთან უსათუოდ უნდა მოვიდეს ულმობელი სიკვდილი; მე წავალ ვერმობრუნდის მხარეს, მაგრამ რა ქნას ჩემმა თიკომ? ვინღა უპატრონოს მას? მამა მას არ რჩება ჩემს შემდგომ და ძმა? საწყალი! რა უნდა ქნას? ისეთი ნათესავი მაინც მომცა, რომ მას ჩავაბარო ჩემი თიკოს თავი... თიკო, ჩემო ანგელოზო! რაღა გეშველება, მე რომ მოვკვდები?!.

— არა, დედა, შენ არ მოკვდები!.. განა ღმერთი ისეთი ულმობელია, რომ არ შეგვიბრალებს გაჭირვებულებს?! თვითონ არ მეუბნებოდი, ღმერთი მოწყალეა?! ანუგეშა დედა თიკომ, რომელსაც წყალი უკვე მიეტანა წყაროდან და ავათმყოფის სიტყებისთვის ყური მოეკრა.

— კი, შვილო, ღმერთი მრავალ მოწყალეა, მე არ მოვკვდები... შენ ნუ გეშინია! ამ საღამოს ბიცოლას უთხარი ჩვენსას მოვიდეს...

— კი, დედიკო, ვეტყვი; აი, ახლავე წავალ...

პატარა თიკო გაყვა შარას, მიადგა ხშირი ტყის ნაპირს და შეჩერდა, გაახსენდა რომ მის სოფლიდან სამი დღის წინეთ ერთი ბიჭი გაიტაცეს... მეც რომ გამიტაცონო? მერე დედა? ბავშს შიშის ჟრუანტელმა დაუარა. მან ფეხს მოუჩქარა, უნდოდა მალე გაცილებოდა საშიშ ადგილს.

— ბიძია, მოიცადე, მოისმა ხმა და იქიდან ვილაცა გამოვიდა. ბავშმა გაქცევა დააპირა, მაგრამ რომ დაინახა უცნობის მცინარი სახე, შეჩერდა.

— სად მიხვალ?
— ბიძიასას.
— თომასას?
— დიახ.
— მეც იქ მოვალ... ერთად წავიდეთ...

წავიდნენ. მიუახლოვდენ ერთ გაუვალ ტყეს. უცნობი შეჩერდა. შაჲი ჩოხის კალთები გადაშალა და იარაღი გამოაჩინა, სატევარს ხელი შეავლო.

— პატარავ, ეს იცი-რა არის?
— კი—ხანჯალი.
— ამას ბევრი რამე შეუძლია.
რა?

— თუ არ შეასრულე, რასაც მე გეტყვი, თავს მოგჭრი.

— მერე ცოდვა არ არის კაცის მოკვლა?

— ცოდვას არ ვკითხულობ! ჩქარა გამომყევი! ხმა არ გაიღო, თვარა, თავი ძირს გაგორდება. აკანკალებული ბავში მხეც კაცს ჩაუვარდა ხელში. გაყვა უცნობს. დედა მოაგონდა და ხვეწნა დაუწყო მტარვალს—გამიშვიო. მაგრამ მხეცის ქვის გული სიბრალულს არ გრძნობდა; მას უნდოდა მხოლოდ ბავში მალე გაეშორებია სოფელს, გადასულიყო ოსმალეთში და ბავში მოსამსახურეთ გაეყიდა. ერთი სამიოდე უკვე გაეყიდა და ახლა უნდოდა ეს ბავშიც გაეხადა სხვათა მონათ!.. მხეცი ფეხს უჩქარებდა, უყვიროდა ბავშს, ჩქარა წამოდიო, მაგრამ პატარას აბა როგორ შეეძლო დასწეოდა მას? ბავშს მუხლი მოეჭრა, ძირს დაეცა, აქვითინდა. აბრალებდა თავს ულმობელ ადამიანს, მაგრამ მისი ხვეწნა უბრალოთ იკარგებოდა. მხეცი მას უჯავრდებოდა,—გულს ნუ მიწუხებ მაგ ტირილით, თორემ თავს მოგჭრიო. თიკო სრულებით მოდუმდა. მიეგდო. გავლა აღარ შეეძლო. მტარვალმა წნელით სცემა, მაგრამ ბავში მაინც არ იძვროდა ადგილიდან. ბოლოს ხელში აიყვანა. გასწია. ღამდებოდა. იღრუბლებოდა. გზა აღარ ჩანდა. სიარული უძნელდებოდა. საშინლათ ჩამობნელდა. კოკისპირული წვიმა დაუშვა. მოყვა ელვა-ქუხილი. შეშინდა. გზა დაებნა. მიადგა ერთ გაუვალ, ჯუჯპრივით ბნელ ხევს. იქ შეჩერდა. რა ექნა არ იცოდა. ხევში გასვლა არ შეიძლებოდა—მოდიდებულიყო. მონახა ერთი დიდი ხე. მის ქვეშ შესდგა. იქ წვიმა არ ჩამოდიოდა. ბავშს გამოეხმაურა. თიკო უგრძნობლათ იდვა მის ხელებზე. შეშინდა—ვაი, თუ ბავში მომიკვდეს და ცოდვა ჩავიდინო ისე, რომ ვერაფერი სარგებლობა ვნახოო. გადასწყვიტა ღამე იქ გაეთია. ცეცხლი დაანთო. საჭმელი ამოიღო. ბავშს მოეფერა—უნდოდა ალერსით ტკბილი მოპყრობით მისთვის სიცოცხლის ძალა დაებრუნებია. ატყუებდა—დედასთან წაგიყვან ხვალ დილით, ოღონდ ახლა გაახილე თვალები; საჭმელიც სჭამეო, უთხრა, გეხუმრებოდი, თვარა ქრისტიანი კაცის გატაცებას როგორ მიზამს გული—საშინელი ცოდვააო. ბავშმა თვალი გაახილა. ცოტა სჭამა. მოსულიერდა. მხეცი მოუყვა—მე მამა შენს ვიცნობდი—ჩემი მეგობარი იყო. შენი დედაც ძლიერ მებრალება, და შენ ისევ შინ დაგაბრუნებო.

— თუ ასე გინდოდა, რათღა მომიტაცე?

— აი, რატომ: მე და ერთი ჩემი ნაცნობი დავნაძლევდით. მან მითხრა, შენ არ შეგიძლია სოფელს ისე გააშორო ვინმე, რომ არ შეგიტყონო. მე ვეუბნებოდი შემიძლია-თქო, და, აი, კიდეც გამოგიყვანე...

ბავშს იმედი მიეცა. გამხნევდა, ღონე მოიკრიბა. მიწვა, დაიძინა. მხეცი კი მას უდარაჯებდა. ღრუბელი გადიყარა. გამოჩნდა მთვარე. მხეცმა მონახა ნაცნობი გზა. გაალვიძა ბავში, უთხრა დედასთან წაგიყვანო და გზას გაუდგა. ბევრი იარა. გათენდა. ტყე კიდევ გაუვლელი დარჩა. შეჩერდა. ტყეს იქით სოფელი იყო. იქ დღისით გავლა არ შეეძლო. რა უნდა ექნა? ბავში გადააშორა გზას დიდ მანძილზე. აქ ერთი პატარა ხე მონახა, მოიხსნა წელიდან ბაწარი და თავისი მსხვერპლი მაგრათ მიაბა... ხელ-ფეხი გაუკრა—ბავშს განძრევა აღარ შეეძლო. დატოვა და წავიდა. მეორე დღეს ფიქრობდა წასვლას და წაყვანას. გაისმა საწყალი თიკოს თავგანწირული ტირილი, მოთქმა, ხვეწნა—მიშველეთო. მაგრამ მშველელი არავინ სჩანდა...

—

— თიკო გაიტაცეს, დათუნიას წაუყვანია. მხეცმა მეზობელიც არ დაინდო... გავარდა სოფელში ხმა.

— გაიტაცეს... ჩემი თიკო... და სიკვდილმა უბედური დედაც წარიტაცა...

—

შეშინდა. მთვარე ანათებდა. მხეცმა მიაშურა თავის მსხვერპლს. მივიდა, ნახა... ნახა თიკოს ჩონჩხის ნაწილი, ხეზე მიკრული... ძირს მიწა სისხლით მოსვრილი... საშინელი სურათი!..

— მხეცს შეუჭამია!—ჩაიქნია ხელი და უკან გაბრუნდა.—დავილუპე კაცი! ამ ბავშში ოცდაათ მარჩილს[1]) ავიღებდი... ეხ!..

— გაჩერდი! არ გაინძრე!!. ხმა არ გაიღო! გამოგვყევი ჩქარა!—მხეცს ორი უცნობი წინ გადაეღობა.

— შეიბრალეთ ჩემი წვრილი ცოლშვილი!.. ნუ გამწირავთ... ცოდვა ვარ!..

— ხმა, კრინტი! ჩვენი ხარ...

**გერასიმე.**

[1]) მარჩილი—ძველი ფულია.

# დაბა-სოფელი.

**სოფ. დიმი** (ქუთაისის მაზრა). ეს სოფელი მდებარეობს ქ. ქუთაისიდან 18 ვერსის მანძილზე. ბევრი განათლებული პირი მოიძებნება ამ სოფელში. აქ არსებობს სამინისტრო ორკლასიანი სკოლას გარდა სამკითხველო, რომელიც დაარსებულია გენერალ ჩხეიძის თაოსნობით. ამ სამკითხველოს მეთვალყურედ არის თვით გენერლის მეუღლე ნინო სოლომონის ასული, რომლის წყალობითაც ჩინებულად არის დაყენებული სამკითხველოს საქმე. სამკითხველოს მოსდის, როგორც ქართული ისე რუსული გაზეთები. ქ-ნი ნინო არ იზოგავს თავს არც შრომით და არც საშუალებით. იმისი ბინიდგან სამკითხველო მდებარეობს ორ ვერსზე და იგი ყოველდღე ორჯერ თუ არა, თითოჯერ მაინც დახედავს მას. სულით და გულით ცდილობს წასწიოს წინ ამ სამკითხველოს მდგომარეობა. ხშირათ აქ იმართება საღამოები სამკითხველოს სასარგებლოთ, თვით ნინო სოლომონ ასულის თაოსნობით ამ სამკითხველოთი სარგებლობს არა მარტო დიმელი ინტელიგენცია, არამედ აუარებელი გლეხებიც, რომელთაც ნახავთ აქ უქმე დღეს. ვინაც კითხვა არ იცის, ისინი აიღებენ გაზეთს, თან გამოჰყვებათ ერთი მკითხველთაგანი, გამოიტანებენ გარეთ, რომ სხვა მკითხველებს ხელი არ შეუშალონ, ჩამოსხდებიან ზოგი ქვაზე და ზოგიც კიდევ მიწაზე და გულ-მოდგინეთ ისმენენ მკითხველის სიტყვებს.

დიდი მადლობის ღირსია ნინო სოლომონის ასული, რომელიც ასე დაუზარებლად ზრუნავს და შრომობს და რომელმაც უსწავლელ დიმელ გლეხებს შეაგონა და შეაყვარა ჟურნალ-გაზეთების კითხვა. ვუსურვოთ მას ხანგრძლივი სიცოცხლე და წარმატება.

**თამარა აბდუშელიშვილი.**

# წერილი რედაქციის მიმართ.

**ბ. რედაქტორო, გთხოვთ ეს წერილი მოათავსოთ:**

არა ერთხელ აღნიშნულა პრესაში უსამართლობისა და ძალმომრეობის მაგალითები, როცა ტლანქი ძალა გადალახავს ხოლმე თვით კანონის საზღვრებს და ამაყური სიამოვნებით ფეხთ ქვეშ სთელავს სხვა ადამიანის პიროვნებას. ბევრი მინახავს უდანაშაულოდ შეურაცხყოფილი, მაგრამ ის დამცირება, რომელიც მე განვიცადე ხონის ბოქაულისაგან, ვფიქრობ, ყველას აღემატება. როგორც მთავრობისათვის აგრეთვე საზოგადოებისათვისაც საჭიროა იცოდეს როგორ იქცევიან პოლიციის ზოგიერთი მოხელე და ჩემ მოვალეობათ ვთვლი ვაუწყო ყველას, რაც ამ დღეებში მოხდა. დაახლოებით ერთი თვე იქნება, რაც დაბა ხონში პოლიციის ბოქაულად გადმოიყვანეს ვ. კუხელაშვილი. ამ დღეებში ის იძიებდა, როგორც ამბობენ ყაჩაღის ჩომახიძის საქმეს. სოფელ გორა-ჯიხაიშიდან მან დაიბარა და დაატუსაღა რამდენიმე პირი, რომელთაც შეუბრალებლად სცემა და როგორც მრავალი მაყურებელი მოწმობს, უსაშინლესი ფიზიკური სასჯელი მიაყენა. რამდენად უდანაშაულო ან დამნაშავე არიან ის პირები მე არ ვიცი, მაგრამ სასჯელის დადება, თუ არ ვცდები, სასამართლოს საქმეა და არა პოლიციის ბოქაულისა. პირველ სეკტემბერს დღით ორშაბათს ბოქაული კუხელაშვილი თვით ეწვია გორა-ჯიხაიშს და ადგილობრივ სავაჭროში რამდენიმე პირს ჩვენება ჩამოართვა, მეც დაინტერესებული ვიყავი ამ საკითხით, რადგან ერთი გაქცეული კაცის გამო მრავალი ხალხი ისჯებოდა—და საჭირო იყო ყველას ხელი შეეწყო უკეთესი შედეგისათვის. სავაჭროს წინ სხვებთან ერთად მეც ფიცარზე ჩამოვჯექ გავშალე წიგნი და კითხვას განვაგრძობდი, სახლის კარები ხშირად იღებოდა და წამდაუწუმ შედიოდენ თუ გამოდიოდენ სხვადასხვა პირები. მე წიგნს ჩავსჩერებოდი და არ შემინიშნავს როდის გამოვიდა იქიდან ბოქაული. მხოლოდ, როცა ყველა ფირცხლავ ფეხზედ წამოდგა, მაშინ მივხვდი და წამოვიწიე, მაგრამ მას უკვე თვალი მოეკრა ჩემთვის და სასტიკად შემომყვირა: „ვინა ხარ შენ, რაგვარი ხარ? როგორ თუ აქამდის ზევით არ აეთრიე! შე ქვეყნის გამრყვნელო, ტუტუცო... სამწუხაროდ ყველა იმ სიტყვების, რომელთაც ბოქაული ხმარობდა, გამეორება და გაზეთის ფურცლებზე მოყვანა უხერხულია. მე ვიდექ ხმა გაკმედილი და მხოლოდ ბოდიშის მოხდა მოვასწარი, რადგან: „ხმა გაკმიდე! ენაზე კბილები დააჭირე მე შენ გიბრძანებო“ დამქუხოდა ბერძენთა „გოპლიტივით“ შეიარაღებული ბოქაული. თავის მართლებას ვინღა იძებდა. რამდენჯერმე აღმართა ჰაერში მათრახი და მხოლოდ ჩემი უხმო მორჩილების წყალობით ავცდი ამ უკანასკნელსა. დიდხანს სცვიოდა ჩემს თავზე რისხვა და მეხი. ჩინგის ხანსა და ნერონსაც კი შეეხარბებოდათ ბოქ. კუხელაშვილის როლი: აბა ისინი როგორ შესძლებდენ ასე მოხერხებულად ადამიანის პიროვნების დამცირებას და სულიერად დასჯას. ბოლოს უბრძანა მამასახლისს დაეტუსაღებინე და მეორე დღეს დილით ადრე მასთან წარვედგინე: «Завтра утромъ рано доставить его ко мнѣ, я его проучу вотъ этимъ“!.. უკანასკნელად დაჰქუხა ძლიერმა ბოქაულმა და შეათამაშა ხელში მათრახი. კარგად ვიცოდი რაც მომელოდა და იმ საღამოსვე წამოვედი ქუთაისისაკენ, რომ უმაღლესი მთავრობისათვის მიმემართა. გუბერნიის მართველს მივეცი ქაღალდი და სამართალი მოვითხოვე, რაზედაც ის დამეთანხმა. აწი რაც იქნება მომავალი დაგვანახვებს...

ამ წერილს ვწერდი, რომ მოვიდა ჩემი მეზობელი ტიმოთე ცაგერეიშვილი და თავისი გასაჭირი მიამბო: „რა ვქნა, რა წყალში ჩავარდე, ერთი ჩემი შვილი იქა ჰყავს დატყვევებული, ის ცემით სიკვდილის კარებამდი მიიყვანა და მეორეს მისაყვანად ქუთაისში გამომაგზავნა; ვიცი ამასაც ის დღე მოელის. ეს საბრალო ავათმყოფია, როგორ გაუძლებს იმის ცემასაო“.

საბრალო გოჩელები! თითქო სხვა გასაჭირი არ კმარა დღეს ეს კიდევ რომ არ მოელინებოდათ.

**სისო გიორგის ძე კიკაჩეიშვილი.**

რედაქტორ-გამომცემელი **ბ. ჯაიანი.**


# განცხადება.

ამა ათას ცხრაას თოთხმეტ წლის, ეკენისთვიდან გაიხსნება ქალთა

# სახელოსნო

ჭრა-კერვის სამკლასიანი სასწავლებელი,

რომელიც ქუთაისის საზოგადოებამ უკვე იცის.

მსურველთაგან თხოვნების მიღება შეიძლება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2-მდი სკოლის გამგის **ოლღა ლუკას ასულის ქორქაშვილის** სახელზე. სწავლის ფასი: 1 კლასში—20; მე-2 კლასში—25 და მესამე კლასში 30 მან.

5—1 **მისამართი: თფილისის ქუჩა, ნიჟარაძის სახლი.**

# ქუთაისის რეალური სასწავლებლის პარაკლისი

სწავლის დაწყების წინ დანიშნულია დილის 10 საათზე, შაბათს 6 ენკენისთვეს.

# მუშაობს

ხრესილის მადნეული წყლის მმ. ქორქოლაძეების

# სამკურნალო აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას; **ქარებს (რევმატიზმს)** სხვადასხვაგვარ **მუწუკს, საყმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას) კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს** და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი **ექიმი,** სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა, და სასმელ-საჭმელი. ფასება ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. **აბანო** მდებარეობს **სადგურ „სერნია ვოდში“ ხრესილში** სტანციაა მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის **„სტანცია სერნია ვოდის“.**

სამო-სწავლო- მთავრობის ნებართვით, ჩემ მიერ იხსნება მესამე ხარისხის

# სპეციალური სასწავლებელი

ყველა საშვალო სასწავლებლებისათვის ორივე სქესის ყმაწვილთათვის მოსამზადებლათ. (გიმნაზიისათვის, რეალურ სასწავლებლისათვის და სხვა). სასწავლებელში იქნება გაკვეთილები ფრანგულისა და ნემეცური ენების.

უცხო ენების სასწავლებლათ მოწვეული მყავს მასწავლებელი-სპეციალისტ ი.

ბავშები მიიღება 23 აგვისტოდან ივანოვის ქუჩაზე ჭიჭინაძის სახლიში № 38.

სწავლის ფული ყველასათვის ხელმისაწდომია.

6—3 **ნინო გრიგორის ასული ლაფერაშვილისა.**

# შექსპირი ქართულად!

გამო-ცემა **ივანე მაჩაბლის** თარგმანებისა.

**მიიღება ხელის მოწერა ივ. მაჩაბლის მიერ ნათარგმნ**

# შექსპირის

რვა ტრაღედიის გამოცემაზე: (ჰამლეტი, ოტელო, მეფე ლირი, მაკბეტი იულიო, კეისარი ანტონიუს და კლეოპატრა, კორიოლანოს და რიჩარდ მესამე). გამოცემა იქნება ერთ წიგნად და შეიცავს ათასამდი გვერდს, დიდი ფორმატისას. გამოცემას დაერთვის ბიოგრაფები შექსპირისა და ივანე მაჩაბლისა და მათივე სურათები. ფასი ხელის მოწერით: 3 მან. შემდეგ ფასი გადიდებული იქნება. ვისთვისაც ერთად ფასის გადახდა სამძიმოა,—მათთვის ხელის მოწერა განაწილებულია სამ ვადათ: **პირველი** შემოსატანი—1 მან. მეორე—პირველ ნოემბერს—1 მ., და მესამე—1 მ. 7 იანვარს 1915 წელს.

წიგნი დარიგდება 1915 წელს თებერვლის განმავლობაში. ხელის მოწერა მიიღება **თფილისში:** ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და გამოცემულის საკუთარ ბინაზე (ოლგის ქუჩაზე, 52), და **ქუთაისში** მთავრიშვილისა და ოცხელის წიგნის მაღაზიებში და ისიდორე კვიცარიძის კანტორა „იმერეთ“-ში გამოცემული

**კნ. ანასტასია ალექს. მაჩაბლისა.**

# ახალი უვნებელი საშუალება

რმე პირისახისათვის **„ბეტტი“**

ფარმ. ს. ს. ნადარეიშვილის.

**არბილებს და ასუფთავებს სახეს: სპობს სრულებით**

ფერმჭამლებს, გადაყავს ნამზეური და ასწორებს პირის ნაოჭებს. ვურჩევ აგრეთვე მამაკაცებს, ვინც პირს ხშირათ იპარსავს და ექერცლებათ სახე. მოითხოვეთ ყველა აფთიაქში და აფთიაქის მაღაზიაში. უმთავრესი საწყობი ქ. თფილისში ლიხის აფთიაქი ს. ს. ნადარეიშვილი. განყოფილება ქუთაისში, აფთიაქის საწყობი ლ. კოკოჩევი. ფასი ერთი მანეთი. აფთიაქებსა და აფთიაქის მაღაზიებს სალავათი.

15—3